



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,  
ელ. ფოსტა: [tsagerisakrebulo@gmail.com](mailto:tsagerisakrebulo@gmail.com)

## ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 3  
11/01/2019

3-06-4-201901111513



### ცაგერის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეთანხმებულ იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი და მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დაშვებული ზღვრული ოდენობის გარდა განისაზღვროს არაუმეტეს 25 ერთეულისა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცაგერის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 04 აპრილის N 24 განკარგულება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქ. N 69).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე  
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

